საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

ხუთშაბათი, 20 ნოემბერი 1919 წ. № 206.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ვაყვანა

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში არნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 150 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ოდად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოეული არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის აღრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

დამწუხრებული მეუღლე ალექსანდრა მიხეილის ასული შვილები ლადიმერი, მიხეილ. შალვა და დავითი ქალიშვილები ანა კოსტანტინეს ასული ღოღობერიძისა, მარიამი და დეკპინე და რძალი ელისაბედ ნიკოლოზის ასული იოსელიანისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

პოსტანტინე იოსების ძე იოსელიანისას.

გამოსვენება ხუთშაბათს 20 ნოემბერს 3 საათზე არტილერიის შესახვევი, ყუფარაძის სახლი. პანაშვიდი ყოველ დღე 4 საათზე. 2—2

ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში 17 ნოემბერს გარდაიცვალა

პეტრე იოსების ძე გოკიელი

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ცოლის დები ანა მესარკოვისა, ეკატერინე ბუდაგოვსკისა, ელისაბედ პისკორსკისა და როზა ბაჯიოღლი და სიძეები, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს $4^1/^2$ საათზედ გამოსვენება სახლიდან (საკუთარი სახლი თბილისის ქუჩა) ხუთშაბათს 20 ნოემბერს ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე საფირჩხიის სასაფლაოზედ. 2—2

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში დილით 17 ნოემბერს გარდაიცვალა

პეტრე იოსების ძე გოკიელი

რასაც უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უბედური დედა ელისაბედ სიმონის ასული, ძმები მიხეილ, რაფაელ და გაბრიელ იოსების ძენი, რძლები—ელისაბედ სტეფანეს ასული, სოფიო იოსების ასული, ელისაბედ ალექსის ასული შვილებითურთ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს $4^1/^2$ საათზე გამოსვენება სახლიდან ხუთშაბათს 20 ნოემბერს ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე საფირჩხიის სასაფლაოზე. თბილისის ქუჩა საკუთარი სახლი. 2—2

ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში დილით 17 ნოემბერს გარდაიცვალა

პეტრე იოსების ძე გოკიელი

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ქვრივი მარიამ იაკობის ასული გოკიელისა, შვილები ლევან, არჩილ და ლილი. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს $4^1/^2$ საათზე. გამოსვენება სახლიდან ხუთშაბათს 20 ნოემბერს ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე საფირჩხიის სასაფლაოზე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი. 2—2

ღრმად დამწუხრებულნი: ქმარი ჩიტო, დედამთილი სეფორე, მამამთილი სიმონ, მული ელენიჩკა, მაზლები გიორგი და კოლა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ნოემბრის 15-ს გარდაიცვალა პირველის საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლე და მეორეთა რძალი

ვარვარა ივანეს ასული ჭუმგურიძისა

გამოსვენება მოხდება 20 გიორგობისთვეს დღით ხუთშაბათს სოფელ მწუხარელაში საკუთარ სახლიდან. 3—3

ქართველ ვაჭარ-მრეწველთა ამხანაგობა „ახალი კოლხიდა“ დიდის მწუხარებით აუწყებს ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოებას რომ 17 ამა ნოემბერს გარდაიცვალა ამხანაგობის დამაარსებელი

პეტრე იოსების ძე გოკიელი

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 20 ნოემბერს ნაშუადღევს $3^1/_2$ საათზე, საკუთარი სახლიდგან საფირჩხიის სასაფლაოზე. 1—1

ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს ქუთაისის ვაჭარ-მრეწველებს

პეტრე იოსების ძე გოკიელის

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ უდროოთ გადაცვალებას, რომლის უკანასკნელი გამოთხოვება და დაკრძალვა დანიშნულია 20 ნოემბერს, დღით ხუთშაბათს ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები გოგოცა მხეიძის ასული ივანე (ვანიჩკა) სოლომონის ძე შოთაძეები შვილებით: ლოლა, პაწკო, სოლიკო, შოთა და რომანა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

პარპარას

უდროოდ დაკარგვას, და თხოვენ რათა ანუგეშოთ დამწუხრებული ჭირისუფალნი. დაკრძალვა მოხდება 20 გიორგობისთვეს (ახალი სტილით) დღით ხუთშაბათს სოფ. მწუხარელაში. 1—1

გულდათუთქულნი ფოტინა ნიკოლოზის ასული მხეიძისა, გიორგი ბეკოსძე. მხეიძე შვილებით: ზინა, ბაბუცა, ესმა და გრიშა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი უძვირფასესი შვილისშვილისას და უკანასკნელნი დის შვილისას

პარპარას

(შოთაძის ასულის) (ჩიტო ჭუმგურიძისა)

გარდაცვალებას, და გთხოვენ მობრძანდეთ დაკრძალვის დღეს 20 ნოემბერს სოფ. მწუხარელაში. 1—1

22 ამა თვეს დღით შაბათს ახალჭალის საგვარეულო ეკლესიაში, გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის.

ექიმი ასლან გიორგის ძე გელოვანის

სულის მოსახსენებლათ. ღრმა დამწუხრებულნი რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, მეუღლე სარრა ჯაფარიძის ასული, ძმები: ალექსანდრე, ვიქტორი, და ჯიუ- დები: ელენტი ჩიჩუასი და დოსია ჩიქოვანისა. ქალიშვილები: ეროზია, თამარა, ჟენია და ლილი მეუღლეებითურთ. შვილები: გიორგი, შალიკო და სოლომონი, რძლები: პასიკო, ანნა, გუგული, სიძეები: რამინ ჩიქოვანი, ქიშვარდი და ალექსანდრე ჯაფარიძეები და ვლადიმერ გეგეჭკორი. 1—1

კოწია, ევტიხი, ტრიფონი, ვარლამი, ლადიკო, დიომიდე, თეკლე, საშა და ნინა ახვლედიანები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას მათი უსაყვარლესი ბიძის პრაპორშიკის

გიჭია მამუჩარის ძის გიორგოგიანისას

რომლის გამოსვენება და უკანასკნელი ტირილის დღე არის დანიშნული 20 ამა ნოემბერს (ახ. სტ.) ნაშუადღევის 3 საათზედ, კარლოვის ჩ:სახვევი სახლი გოგოლაშვილისა, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ოთხ საათზედ, დაკრძალვა მოხთება საფირჩხიის სასაფლაოზედ. 1—1

ხელშეკრულება გათუმის გენერალ-გუბერნატორთან.

საქართველოს წარმომადგენელსა და ბათუმის გენერალ-გუბერნატორს შორის დიდ მნიშვნელოვანი ხელშეკრულობა დაიდვა: საქართველოს გემებს ეძლევათ ბათუმში თავისუფლად შესვლის ნება და ენიჭებათ ინგლისის მფარველობა.

ამ ხელშეკრულობას უპირველესად დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს!

ფოთიდან, ოჩამჩირედან, სოხუმიდან და გაგრიდან გატანილ საქონელს ბათუმში მსოფლიო ბაზარი გაუჩნდა.

მაშ ის, რაც ზედმეტი გვაქვს, რასაც შეგვიძლია შეველიოთ, დღეიდან მყიდველს ადვილად იშოვის.

გასატანი კი ბევრი რამე გვაქვს: თუთუნი, პარკი, ტყის მასალა, ლორი და სხ.

ცხადია, ბათუმის ხელშეკრულობა წინამორბედია საქართველოს სავაჭრო ხელშეკრულობის ინგლისთანა და სხვა სახელმწიფოებთან.

და, როდესაც საქართველოს გემებს კონსტანტინეპოლსა და ევროპის ნავსადგურებში შეუშვებენ, ჩვენს ვაჭრობას მაშინ აეხსნება ბორკილი.

აქედან კი შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს; ბათუმის ხელშეკრულობას იმავე დროს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

უეჭველია! როდესაც საქართველო დიდ სახელმწიფოს ეკონომიური ხელშეკრულობით უკავშირდება, ეს, როგორც თავის შედეგს, პოლიტიკურ კავშირს წარმოშობს.

ეკონომიური კავშირი პოლიტიკური კავშირის წინამორბედია.

ამიტომ მომავალი საიმედოდ მიგვაჩნია.

მართალია, შინ მოუწყობელი ვართ; აწინდელი კანონები ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებასა და პოლიტიკურ მდგომარეობას არ შეესაბამებიან და ეკონომიურ-პოლიტიკურ წყობილების შეცვლა აუცილებელია, მართალია, ამგვარი მოუწყობლობა ჩვენს ეკონომიურ წარმატებას ხელს უშლის.

მაგრამ ისიც ხომ აუცილებელია, რომ ერი გარემოებას ადვილად მოემარჯვება ხოლმე და პოლიტიკური შეგნება პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობაზე ჰკიდია.

მაშასადამე ქართული პოლიტიკური აზრი შეიცვლება: მოერგება და შეეწყობა ახალ დროს, ახალ პოლიტიკურსა და ეკონომიურ მიმართულებას.

მაშ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის დადებითად გადაჭრის დრო მოახლოებულია. ბათუმის ხელშეკრულობა ამის მომასწავებელია.

ამას კი სხვათა შორის ფულის კურსის აწევაზე ეაც ექნება გავლენა.

დიაღ, დარეკა მსოფლიოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსაარების ზარამ!

ვასილ წერეთელი.

უკრაინის საკითხი

ახლად აღდგენილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს 35 მილიონიან უკრაინის ერის საკითხის ასე თუ ისე გადაჭრას.

რუსეთის ოფიციალი აზროვნება და რჩეული რევოლუციური ინტელიგენციაც კი უკრაინას „მოლოროსიის“ სახელით, რომ ნათლავდა უკრაინელს ჭეშმარიტ რუსისგან არ არჩევდა. ტარასი შევჩენკო და 1912 წ. უკრაინულ ეროვნულ ინტელიგენციის მოძრაობა „რადი“ს გარშემო რუსულმა ინტელიგენციამ დააფასა, როგორც გარიყულ ავანტურ ხალხის პიროვნული აღტყინება.

1917 წ. რუსეთის დარღვევამ ნება მისცა უკრაინას თავის, სიტყვა ეთქვა და ეს სიტყვა მისგან **ეროვნული იყო**. ამ დღიდან უკრაინა გზის მაჩვენებელი იყო დანარჩენ მცირე ერებისათვის. უკრაინის წინაშე დიდი სახელმწიფოს შექმნის საკითხი აჩრდილი წარმოდგა!.. განთავისუფლებული ერები სიხარულით შეჰყურებდენ უკრაინას და მას საერთო ბუნერად სთვლიდენ. სამწუხაროდ უკრაინის პირველმა საჭეთ მპყრობლებმა ვერ გაამართლეს იმედები, ხან უკიდურეს მონარქიისკენ გადაისროლეს ერი ხოლო, ბოლოსკი სოციალურ მემარცხენეობაში დასწვეს და მოკლეს.

დირექტორიის უკრაინის ცენტრიდან გაქცევის შემდგომ უკრაინას მოსკოვის კომუნისტები ჯიჯინიან, ახლა კომუნისტების ადგილს იჭერს დენიკინი. ევროპის თვალში სახელმწიფოებრივობისთვის ყოველგვარ პირობების მქონე უკრაინის უფლული სიკვდილი უთუოდ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა, ხოლო დამოუკიდებლობის ცნობის მაძიებელ ერთათვის თვალსაჩინო მინუსი იყო.

„გალიციასთან გაერთიანებული უკრაინა ვერ აღერხებს საკუთარ მყოფელობას, სხვა ერები რას გახდებიანო“ ხშირად გაისმოდა პარიზში.

უკანასკნელ დროს უკრაინა ისევ აღიძრა. პეტლიურა შეებრძოლა დენიკინის ბანდებს და ათავისუფლებს მშობლურ ტერიტორიას.

ანტანტა თანაგრძობით შეხვდა უკრაინის ნოტებს და შველაც დაჰპირდა.

ეს ამბავი აღმაფრთოვანებელია პატარა ერებისათვის, უკრაინა სათავე იქნება მცირე ერების საბოლოო დამოუკიდებლობისა. უკრაინა კედელი იქნება მოსკოვის მიმართაც. უკრაინა დენიკინის ზურგში გაჩენილი განმანადგურებელ ძალად მოგვევლინება.

რუსეთის მონობისაგან გამოსულ ერების დამოუკიდებლობათა ცნობა სავსებით დამოკიდებულია ამ ერთა ურთიერთობის საუბაზე და შინაურ სტრუქტურაზე.

კავკასიაში გაერთიანება საქართველოს ვარშემო და იქ უკრაინის ირგვლივ ის ორგანიზაცია იქნებოდა, რომელსაც პარიზი მოწონების ბეჭედს დაასვამდა.

ახლავე იმედიც, რომ ვადავიწყვეტოთ სამშვიდობო კონფერენციის შემძლებობაზე, იმის დაშლა ვიგულისხმოთ და ევროპა ახალი ომების ალმურში ნოვიჩვენოთ, ამ შემთხვევაშიაც ჩვენთვის აუცილებელია რუსეთის ნანგრევებზე **ერების შეთანხმებათა** შექმნა.

უკრაინის სიცოცხლე და მისი ხმა ყველა მცირე ერებისთვის სასურველი და საჭირო. უკრაინის ბედი ერთად-მცირე ერების ხმასაც მეტ გასავალ უქნება.

ვისურვოთ, რომ ამ ჟამად მართლაც აღსდგეს უკრაინის ერი, მისი სახელმწიფოებრივობა გამტკიცდეს.

უკრაინა იქნება გულწრფელი მეგობარი, ხელის გამწოდებელი ყველა ერებისთვის.

ი. დიდიძე.

პრესა.

გაზეთ „იბერია“ დღევანდელ ვითარებაზე სწერს:

„ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ-ჯერობით ბარბაროსული ნორმებია მოქალაქობრივ უფლების სფეროში და არა თანამედროვე დემოკრატიული კონსტიტუციური. ჩვენ ვფიქრობდით, რომ დღეს დამთავრებულიყო ის ძალ მომრეობა და ძარცვა გლეჯა, რომელიც დღევანდელმა მთავრობამ, თავის პერსონალურ შემადგენლობის სახით, ჯერ რევოლუციის დაწყებამდე პრინციპის სიმაღლეზე აიყვანა, ხოლო რევოლუციის ხანებში საკუთარი ხელით ხორცი შეასხა და ფაქტად აქცია. გვეგონა, რომ რევოლუციის მოხდენისა და ძველ მესაკუთრეთა ხელში ნორმის დატოვების შემდეგ, მთავრობა დაიცავდა გაძარცულთა უფლებას და მათ საშუალებას მისცემდა ნორმა დაემუშავებინათ და ცოლშვილი ერჩინათ. თავის პრესტიჟით და სახელის პატივის მცემელი მთავრობა ამაში დაინტერესებული უნდა ყოფილიყო. მისი დანიშნულება და მოვალეობა ისაა, რომ მოქალაქე დაუმორჩილოს გამოცემულ დეკრეტებს და კანონებს და ცხოვრება ჩააგდოს უფლების კალაპოტში.

მთავრობა ამ თავის მოვალეობას ვერ ასრულებს. უთვალავი შემთხვევაა, როდესაც სოფლელთა შორის ყველაზედ ზვიადი და მტაცებელი თავის ბუნებით ახირებია თავის ნორმის დასამუშავებლად, სოფელში დაბრუნებულ მემამულეს სახლ-კარის გადაბუგვას და ცოლშვილის ამოხოცვას დამუქრებია და სოფლიდან გამოუგდია. და ეს ხალხი, რომელსაც არავითარი პირადი დანაშაული არ მიუძღვის არც ერისა და არც სოფლის წინაშე, სოფლიდან მრავალკეც გაძევებული თბილისში დაძრწის მოკლებული ყოველგვარ საარსებო საშუალებას, დევნილი მოქალაქობრივად და შეურაცხყოფილი ზნეობრივად...

ნუ თუ მთავრობაში მფარველი არ უნდა ჰპოვოს საქართველოს უფლება შელახულმა მოქალაქემ, მხოლოდ იმიტომ, რომ წინად მას სხვაზედ მეტი მაუღლი ჰქონია? რად არის მთავრობა ასე მტრულად განწყობილი ამ ხალხისა და მისი

დღიური.

ბოლშევიკებმა ხელახლა შეუტიეს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით და იამბურგი აიღეს.

კიევის გუბერნიაში გლეხთა აჯანყებაა: აჯანყებულებმა კიევი დაიჭირეს. გლეხთა პარტიზანები თავს ესხმიან ქალაქებს და გზებს ანადგურებენ.

დ'ანუნციომ თავის რაზმი ზარში წაიყვანა, თვით კი ფიუმეში დაბრუნდა.

ჰუნგრეთში დგება ახალი კოალიციური მთავრობა.

საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია შეიკრიბება რომს 22 გიორგობისთვეს.

დღეს სრულიად მთელ საფრანგეთში იწყობა პალატის დეპუტატთა არჩევნები.

საფრანგეთის მთავრობამ უარი განაცხადა რუსეთის საქმეებში ჩარევაზე.

ამერიკის სენატი აცხადებს, რომ ის რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან არავითარ კომპრომისზე არ წავა, და არც იმ კონფერენციაზე მიიღებს მონაწილეობას, რომელზედაც ბოლშევიკების წარმომადგენლებს დაუშვებენ.

დენიკინმა ბიჩი და ყუბანის თვითმართველობის დელეგაციის წევრები მოღალატეებათ გამოაცხადა და სამხედრო სამართალში მისცა.

ცოლშვილის მიმართ? რად არის ასე უგულვებელი დამფუძნებელი კრება მრავალი უღანაშაულო ოჯახისადმი, რომელიც სიმშილწყურვილთან ერთად დაუმსახურებელ ზნეობრივსა და უფლებრივ დევნა შეურაცხყოფას განიცდის?!."

* * *

„აზხატავორი" ხელშეკრულების შესახებ სწერს:

„დამახასიათებელია ის, რომ სომხეთის პარლამენტის სხდომაზე ყველა პარტიებს გამოუთქვამთ თავისი აზრი ხელშეკრულების სასარგებლოდ და ერთხმად დაუმტკიცებიათ იგი. ეს ფაქტი ახალ ხაზს აღნიშნავს, მთავრობის პოლიტიკაში მეზობელ რესპუბლიკების მიმართ ტრანზიტის შესახებ მოხდენილ შეთანხმების მოჰყვება საზღვრების დახლართული და სადავო საკითხთა გადაჭრა; მაგრამ ამ მიმართულებით ძალიან მძიმედ მიდის ორი რესპუბლიკის შერეულ კომისიის მუშაობა. პროგრამა და თვალსაზრისი უკვე შეშუშავებულია, თვით საერთო ენაც გამოინახა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მუშაობა მაინც ნელის ნაბიჯით მიდის. საზღვრების საკითხი უნდა გადაიჭრას დაუყოვნებლივ, რესპუბლიკების შეთანხმებით და ურთიერთი დათმობით. სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა არ უნდა ისარგებლონ საქართველოს იმ მძიმე მდგომარეობით, რომელნიც ეხლა იმყოფება საქართველოს მთავრობა და დღეს უფრო მეტად, ვიდრე როდისმე, უნდა გაუყოლონ მეგობრობის და სოლიდარობის ხელი ქართველ დემოკრატიას, რადგან სომხეთის და საქართველოს დემოკრატიების შეთანხმება და სოლიდარობა, შეადგენენ ახლო აღმოსავლეთის სოციალიზმის და მთელ კაცობრიობის იდეალების განხორციელების საფუძველს...

ლენინი თავის მომავალი ტაქტიკის შესახებ.

ცენტრალ კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე ლენინმა თავის მომავალ ტაქტისა და ბურჟუაზიის შესახებ შემდეგი სთქვა:

„ჩვენ ჩავალთ სარდაფებში აურაცხელ თანხითა, ფულის საბეჭდავ იარაღებით ხელში სამუშაოდ. რუსულ ბურჟუაზიამ დაამტკიცა თვისი სირეგვენე ჩვენთან, თავის შთამავლობისათვის გადასაცემად ის მიიღებს დანგრეულსა და დამშეულ ქვეყანას, რომლის აღდგენასაც ეხლა ის დენიკინს თანაუგრძნობს, მაგრამ არა ფაქტიურად, არამედ პლატონიურად, განთავისუფლების შემდეგ ის მყისვე დამშვიდდება, თავის ბატონობის მომენტს იდღესასწაულებს, და შეუდგება თავის წვრილმან საქმეებს ხელახლა გამდიდრების სურვილით. ჩვენს წასვლის შემდეგ დამკარებული ბურჟუაზიული მთავრობა არამც თუ ვერ შესძლებს ხალხის დაკმაყოფილებას, არამედ მოითხოვს კიდეც თავის კლასიურ დანაკლისის ანაზღაურებას. ჩვენ ვცდებოდით, როცა ხალხს ვალიზიანებდით ჩვენი კომისრების თვითნებობით. ბურჟუაზია ასეთივე შეცდომებს განიმეორებს. ამას გარდა, ის დაქუცმაცდება პარტიებად, რომელნიც ერთმანეთს შეესევიან ძალა უფლების მოსახვეჭად. ხალხს ეს ბრძოლა მოთმინებას დაუკარგავს; და მაშინ დადგენს ჩვენი დრო. დღეს ჩვენს წინააღმდეგ განწყობილი გლეხობა ხვალ მარტო ჩვენ გამოგვყვება და ახალი სოციალი რევოლიუციაც საბოლოოდ გაიმარჯვებს".

„ივერია".

ლეონიდ ანდრეევი ლუნაჩარსკის შესახებ.

(ლეონიდ ანდრეევის წერილიდან ბურცევის მიმართ)

„ლუნაჩარსკი, თავის მელის კუდით, ყველა სხვაზედ უფრო საოცარია: მას სურს შეირჩინოს კეთილი სახე და რაც შეიძლება მეტი გააბას ქსელში, რადგან იცის, რომ ყოველი ახალი „სახელი", ყოველი პროფესორი, მეცნიერი, ინტელლიგენტი, ან პირდაპირ პატიოსანი ადამიანი ამსუბუქებენ მის პირად პასუხისმგებლობას.

თუ ნერონსაც კი ამართლებენ ზოგიერთნი, მისი ხელოვნებისადმი სიყვარულისათვის, ლუნაჩარსკიმ როგორლა არ უნდა შექმნას მწერალთა, მხატვართა და რეჟისორთა „ოქროს საუკუნე „რომელიც ასეთს კონტრასტს ჰქმნის „ჩრეზვიჩაიკასთან" და თვით ლუნაჩარსკის აძლევს განსაკუთრებული ჯენტლმენის სახეს.

ნათელი—სხივი—ბნელ სამეფოში, ასე ფიქრობს, ალბათ, იგი თავის თავზედ, რადგან ყოველივე სხვა ლირსების გარდა, ის დიდი მეშჩანინია „თქვენ იცით, რომ მეც მაძლევდენ წინადადებას ჩემ ნაწარმოებთა გამოცემისათვის და მიმტკიცებდნენ, რომ „ყველანი იქ არიან" და აზრი არ არის ჩემი ყოყმანისათვის).

აზერბეიჯანი.

ქ. ბაქოს განწმენდისათვის

ქ. ბაქოს ადმინისტრაციამ უკვე ენერგიული ზომები მიიღო უცხოელთა და უსაქმოდ ქალაქში მცხოვრებთა გადასახლება-გაძევება, რაც შეიძლება მალე მოხდეს. პირველ რიგში არიან ლტოლვილები.

თბილისის განწმენდის გამო

უკანასკნელ ხანში თბილისში მიღებულ ზომების გამო, შესახებ უსაქმო მოქალაქეთა ქალაქიდან გაძევებისა, რომელთა რიცხვი 100,000 უდრის, ბაქოს დიდი ხალხი მოაწყდა, რასაკვირველია ისეთნი, რომელნიც თბილისში დროებით სცხოვრობდენ.

მუსტაფა ქემილი და ლენინი.

სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ მუსტაფა-ქემალ ფაშამ სირიიდან დეპეშით მიმართა ლენინს წინადადებით რათა კავშირი შეჰკრან თურქულ ნაციონალისტების და რუსეთის საბჭოთა მთავრობის შორის. („აზხატ.")

ოსმალეთის მთავრობა და მუსტაფა ქემილ ფაშა

ოსმალეთის მთავრობამ მუსტაფა ქემილ ფაშას წარუგზავნა ნოტა, რომელშიც განმარტებულია ის უხერხულობა, რომელსაც იწვევს ეროვნულ ორგანიზაციის პოლიტიკურ ოფიციალურ საქმეებში ჩარევა. კაბინეთს ჰგონია, რომ „ეროვნულ ორგანიზაციამ" უნდა განსაზღვროს ადგილობრივ მოსახლეობაზე ზრუნვის გაწევით". („მინ. ორ.")

უკანასკნელი ცნობები

ამერიკა და საფრანგეთი.

ამერიკის სენატმა 48 ხმით 31 ხმის წინააღმდეგ უარყო, ის ვალდებულება, რომლის ძალითაც ამერიკას უნდა 5 წლის განმავლობაში ხელი შეეწყო საფრანგეთისათვის ელზასლორენში გასამაგრებლად.

გერმანიის დელეგაცია საფრანგეთში.

პარიზში გერმანიის დელეგაციას მოელიან. დელეგაციას მეთაურობს ბენდობით. აღჭურვილი მინისტრი ფონ სიმსონი. დელეგაციამ ხელი უნდა მოაწეროს იმ ოქმს, რომელშიაც აღნიშნულია დროებითი ზავის პირობები და რომელსაც აქამდის გერმანია არ ასრულებდა.

რუსეთი და ინგლისი

თემთა პალატაში ლლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ მას რუსეთში ჯერ არავინ გაუგზავნია, მაგრამ რუსეთის საოქალაქო ომის ჩასაქრობათ ზომები უკვე მიღებული აქვს

ჰუნგრეთის ახალი მთავრობა.

გერმანიის რადიოტელეგრაფი იუწყება, უნგრეთში ახალ კოალიციონურ მთავრობის შედგენის შესახებ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ იქნება ყოფილი იუსტიციის მინისტრი.

ITALIA

მეფისა და ნიტის თათბირი.

რომიდან იუწყებიან გაზეთებმა შეიტყვეს, რომ მეფეს და ნიტტის თათბირის საგანს შეადგენდა ფიუმეს საკითხი. თათბირზე დაესწრენ: გენერალი ალობიცია დაინცი და ბადოლიო.

შიში დ'ანუნციოს გარშემო.

შიშს გამოსთქვამენ, რომ დ'ანუნციომ არ ჩაბას იტალია მეორე ბალკანეთის ომში, რაც დასაწყისი შეიქნება მეორე ცეცხლის გაჩაღებისა.

GERMANIA.

ჰოგენცოლერნთა ქონება.

პრუსიის მთავრობის პროექტით, ჰოგენცოლერნთა ყველა მამულები და ქონება უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფოს. ყოფილ სამეფო ოჯახის კერძო ქონების ნაწილი ჩამორთმეული იქნება, ხოლო ნაწილი დინასტიის წევრებს დაურიგდება. უძრავი ქონება, რომელიც პირადათ ვილჰელმ მე-2-ეს ეკუთვნოდა მთლად მის განკარგულებაში დარჩება.

გერმანია და ბოლშევიკური პროპაგანდა.

ფრანგული პრესის მტკიცების გამო თითქოს გერმანია საფრანგეთში ბალშევიკების აგიტატორებს ჰგზავნიდეს და საზოგადოთ მთელ ქვეყნიერებაზე ბოლშევიზმის გასაკრცელებლა მატერიალურ დახმარებას აძლევდეს იმ მიზნით, რომ ამ საშუალებით საზაო ხელშეკრულებების პირობების ასრულება გადასდოს, გერმანიამ ოფიციალურად განმარტა, რომ ამ მტკიცებაში ერთი სიტყვაც მართალი არ არის. გერმანიას იმდენი ფინანსიური და პოლიტიკური ხასიათის საზრუნავი აქვს, რომ მის მთავრობას ფიქრიც არ შეუძლია რაიმე პროპაგანდის მოწყობაზე საზღვარ გარედ. გერმანიისათვის ამ დროულად ყველაზე უფრო ძნელი და საჭირო საგანია შინაური წესიერების დაცვა, მცხოვრებლების უზრუნველყოფა სურსათით, ფინანსების გაჯანსაღება წარმოების ზრდის საშუალებით ექსპორტის მოწესრიგება და იმავე დროს უნდა ეცადოს პატიოსნათ შეასრულოს საზავო ხელშეკრულების პირობები.

გენ. დენიკინი ყუბანთა მთიელების მთავრობის შესახებ.

კავკაზიდან უკანასკნელ საათში მიღებულ ცნობებით გენ. დენიკინს

გაუცია შემდეგი შინაარსის ბრძანება: ყველა თავის ჯარების მიმართ.

ამა წლის ივლისში ყუბანის მთავრობისა და მთიელთა მეჯლის შორის დაიდვა ხელშეკრულობა რომელსაც დაედვა საფუძვლად რუსეთის ღალატი და ჩრდილო-კავკასიაში ყუბნის ყაზახთა ჯარის მეჯლისის განკარგულებაში გადაცემა, რამაც გამოიწვია თერგის ჯარის დამარცხება ხელშეკრულებას ხელს აწერენ ერთის მხრივ ბიჩის საელჩო, კოლოზუროვი და ნამიტოკოვი, მეორეს მხრივ ჩემმაევი, პოდაროვი, პაძარატოვი, და მამატოვი. ვბრძანებ თუ ეს პირნი შენიშნულ იქმნენ მოხალისეთა არმიის ტერიტორიაზე დაუყონებლივ მიეცნენ ღალატისათვის სამხედრო საველე სასამართლოს. ტოგანროგი. 25 ოქტ.

გენ. დენიკინი

აზერბაიჯანის კაბინეტის შედგენა

აზერბაიჯანის ახალი კაბინეთის შემადგენლობა დაახლოვებით ასეთი იქნება: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი—მ. უსუფბეკოვი. სამხედრო და საზღვაო მინისტრი—გენერალი ს. ბ. მეხმანდაროვი, საგარეო საქმეთა მინისტრი—ფ. ხ. ხოისკი. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრად—მ. გ. ჰაჯინსკი, იუსტიციის მინისტრი—ხ. ბ. ხასმამედოვი, სახალხო განათლებისა—რ. ნ. ყალფანოვი, გზათა და ფოსტა ტელეგრაფისა—ნ. მ. მელიქ ასლანოვი, ვაჭრობისა და მრეწველობის—მ. მ. რაფიევი, სახელმწიფო კონტროლიორის პოსტი მიენდო „იტტიხადის“ პარტიას, პოსტის კანდიდატად ასახელებენ—გაგამეთბეკოვს. სხვა პორთფელები ზემოხსენებულ სამინისტროებში განაწილდება. შესაძლებელია კაბინეთში შესვლა სოციალისტებისა, რომლებთანაც მოლაპარაკებაა გამართული.

შურას რესპუბლიკა

სივაში შესდგა შურას რესპუბლიკა, რომელიც არ ემორჩილება სტამბოლის მთავრობას.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

ხრონიკიორი. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციას ჰირდება გამოცდილი ხრონიკიორი. პირობების გაგება შეიძლება რედაქციაში. (ხბილისის ქუჩა ფიჩხაძის სახლი).

შემოწირულება. ვარლამ ი. იოსელიანმა გარდაცვალებული პეტრე იოსების ძე გოკიელის გვირგვინის ნაცვლად „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციას შესწირა 50 მანეთი.

ხონის სახელოსნო სკოლის სასარგებლოდ განათლების სამინისტრომ 10233 მ. გადასდო.

ჟურნალ „განათლების“ სასარგებლოდ განათლების სამინისტრომ 30000 მან. გადასდო.

ბოლშევიკების დამორჩილება. ჩოხატაურში ბოლშევიკები გვარდიას დამორჩილდენ. ორი ტყვიის მფრქვეველი უკვე ჩააბარეს.

ქუთაისის ქუჩებში ღორების კვლა. არსებულ განკარგულების თანახმად ქუთაისის ქუჩები ღორებისგან უნდა გაინწმინდოს. ეს განკარგულება მეტის მეტათ კანონიერია. მაგრამ თვით განკარგულებას უკანონოთ ასრულებენ. მილიციონერები ქუჩაში 6 კაცი მისდევს ერთ ღორს და ყველა შტიკვებით ხვრეტს ამ უენო პირუტყეს. არის შემთხვევები როცა დაჭერილ ღორებს ღამის ორ საათზედ კლავენ კომისარიატების ეზოებში. საჭიროა მილიციის უმფროსმა განკარგულება გასცეს, რომ ქუჩაში ღორები მხოლოდ დაჭერილ იქნან, და თუ დასაკლავია სასაკლაოზე გაგზავნონ და არა ღამის 2 საათზედ დაარღვიონ მყუდროება ღორების ჭყვირილით.

თეატრი. დღეს ქუთაისის თეატრში წარმოდგენილ იქნება სუმბათაშვილის „ღალატი“. იმედაშვილის და ზარდალიშვილის მონაწილეობით.

შინაურულ წესით გაყიდულ მამულის საქმეთა შეჩერება. მთავრობამ და დგინა: მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას პრქტი დეკრეტისა სასამართლოში სამოქალ. საქმეთა წარმოების შეჩერებისა მცხოვრებლებზე შინაური საბუთებით გადასულ მიწების შესახებ.

ამხ. ნეკტარი ყიფშიძის ხსოვნას.

სწორედ ერთი წელია რაც ჩვენი პარტიის მოწაფეთა ორგანიზაციას გამოაკლდა ძვირფასი ამხანაგი ნეკტარი, ერთი წელია რაც ნეკტარი მოშორდა სამუდამოთ თავის მშობლებს და ამხანაგებს, დიდი ღვაწლი მიუძღოდა ამხ. ნეკტარს, ქუთაისის მოწაფეთა ჩვენი პარტიის ორგანიზაციაში და აგრეთვე ყვირილის ორგანიზაციაში. როცა ის გამოდიოდა სოფლებში საპროპაგანდოთ, ის მედგარი პროპანგადისტი იყო, ის მედგრათ და შეუპოვრათ იცავდა ხოლმე იმ პოზიციას რომელზედაც ეროვ. დემოკ. დგანან. სწორეთ, რომ ნამდვილი მებრძოლი იყავი ამხ. ნეკტარი და რომ დაგცლოდა, ბევრ რამეს ველოდით შენგან. მაგრამ არ დაგინდო იმ ოხერმა სიკვდილმა, გამოსტაცა ხელიდგან შენი თავი შენს ამხანაგებს და საყვარელ მშობლებს, შენ იყავი მებრძოლი იმ პარტიისა რომლისთვის სამშობლო პირველი სიტყვაა, და როგორც ასეთი დარაჯად უდექი ტურფა საქართველოს, მაშინ როდესაც მას უპირებდენ ბნელი ძალები წალეკვას. ეს ის დრო იყო როდესაც ოსმალეთის ფრონტიდან რუსის გაბოლშევიკებული ჯარის კაცები აღმოსავლეთ საქართველოს ემუქრებოდენ. ამ გარემოებამ ამხანაგო ნეკტარი შენ მოგასწრო მოწაფეთა მოხალისეთა დრუჟინაში და აქედან მალე გაგვიწვიეს ბნელი, ძალების საბრძოლველად, სადაც მედგრათ იცავდი შენს პოზიციას, თუმც იქიდგან უვნებლათ დაბრუნდი და შენი ამხანაგები გიმნაზიაში მოგელოდით, მაგრამ ჩვენმა ლოდინმა ამაოდ ჩაიარა, შენს ნაცვლად ჩვენ მივიღეთ სამგლოვიარო ბარათი შენი გარდაცვალების.

ამ ბარათმა თავზარი დასცა ყველა შენ ამხანაგებს. მე მაშინვე გამოვეშურე, რომ უკანასკნელათ მენახა შენი წყნარი და ლმობიერი სახე და მენუგეშებინა შენი მშობლები. ბევრი ცხარე ცრემლი დავაფქვიე შენი ცხედრის წინ, ულმერთო იმ შენ—სიკვდილს ეფიცენ ამხანაგო, ხსოვნა შენი წაუშლელი დარჩება შენი ამხანაგების გულში, და ჩვენ საერთო იდეას თავდადებულად განვაგრძობთ.

ამხ. აპ გოგსაძე.

რედაქციის შენიშნა. ეს წერილი უადგილობის გამო და ვიანებით იბეჭდება.

ნუსხა

პირველ ქართულ ლატარიის მოგებულ ბილეთებისა, ლატარიის გამგეობის მიერ ხელმოწერილი.

(გაგრძელება)

სერ. №№	ბილეთის მოგება №	ბილეთის მოგება №	ბილეთის მოგება №	ბილეთის მოგება №	ბილეთის მოგება №	ბილეთის მოგება №
51	96—100	157—100	438—100	290—100	285—100	353—1000
52	339—100	276—100	286—100	254—250	66—100	68—100
53	90—100	32—100	237—100	472—100	134—100	369—100
54	308—100	282—100	294—100	21—100	425—100	126—500
55	454—100	128—250	263—100	104—100	193—100	21—100
56	332—100	399—100	192—100	434—100	91—100	124—100
57	350—250	469—100	8—100	356 100	473—100	265—250
58	327—100	13—100	488—100	132—250	49—100	64—100
59	161—100	168—100	374—100	436—100	185—100	65—100
60	148—100	478—100	340—100	117—100	384—500	500—100
61	152—100	381 100	338—100	266—100	209—100	326—100
62	67—100	285—100	190—250	99—100	397—100	275 100
63	405—100	86—100	163—100	230—100	449—250	55—100
64	198—100	89—100	212—100	39—250	464—100	189—100
65	252—100	453—100	200—100	360—100	139—100	82—100
66	272—100	35—100	422—100	95 100	238—100	476—100
67	436 100	146—100	228—100	146 100	438—100	40—100
68	261—100	352—100	116—100	304—500	188—500	354—1000
69	422—250	7—100	169—100	181—100	234—100	67—100
70	174—100	395—100	500—100	326—100	119—250	394—100
71	386—100	356—100	167—100	190—100	100—100	404—100
72	145—100	362—100	256—100	137—100	390—100	218—100
73	251—250	397—100	448—100	161—100	323—250	334—100
74	329—100	466—100	454—250	149—100	481—100	78—100
75	32—100	121—100	189—100	161—100	50—100	284—100
76	127—100	13—100	456—100	471—100	59—100	91—100
77	231—100	5—100	374—100	275—100	44—100	97—100
78	400—100	54—100	265—100	201—100	415—100	206—100
79	442—250	72—100	359—100	387—100	465—100	133—100
80	310—100	292—100	301—100	75—100	320—100	34—100
81	38—100	52—100	53—100	432—100	447—250	205—100
82	232—100	341—100	379—100	234—100	179—100	92—100
83	248—100	241—100	78—100	422—100	32—100	466—100
84	471—500	422—100	209—100	131—100	276—100	267—100
85	143—100	321—100	116—100	77—500	320—100	461—100
86	433—100	28—100	244—100	93—100	29—100	127—100
87	364—100	40—100	60—100	438—100	177—100	108—100
88	292—100	251—100	412—100	13—100	4 250	303—100
89	70—100	324—100	328—100	389—100	171—100	414—100
90	107—100	307—100	355—100	349—100	80—100	8—100
91	387—100	276—100	123—100	221—100	431—100	455—100
92	294—100	491—100	187—100	408—100	404—100	208—100
93	474—100	409 100	175—250	416—100	206—100	68—100
94	50—100	128—100	162—100	239—100	189—100	359—500
95	179—100	97—100	19—100	69—100	97—100	221—100
96	494—100	396—100	26—100	12—100	461—100	446—100
97	356—100	331—100	100—100	62—100	475 100	267—100
98	44—250	10—100	442—100	206—100	449—100	238—100
99	464—100	491—100	190—100	201—100	366—100	152—100
100	483—100	457—100	125—100	48—100	101—100	73—100
101	390—100	296—100	75—100	225—100	197—500	283—100
102	255—100	292—100	268—100	96—100	395—100	330—100
103	254—100	319—100	425—100	477—100	269—250	213—100
104	49—250	279—100	61—100	345—250	296—100	261—100
105	28—100	277—100	447—100	125—250	26—100	186—100
106	328—500	40—100	193—100	60—100	130—100	337—100
107	236—100	33—100	476—100	70 100	467—100	182—100
108	423—100	80—100	211—100	113—100	203—100	32—100
109	225—100	295—100	104—100	264—100	152—100	101—100

(გაგრძელება იქნება).

სტამბა ნ. ფერაძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.